ჩვენი არმია მშვიდობის არმია

დიდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
23
თებერვალი
№ 46
(17391)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მშრომელი საქართველო რისხავს ჩინელ აგრესორებს

მეგრძელ ვიეტნამს!

ტ. როსტიაშვილი:

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი.

მხურვალედ ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა ხალხი გადაჭრით აფრთხილებს ჩინელ აგრესორებს, მტკიცედ მოითხოვს შეწყვიტონ აგრესია და დაუყოვნებლივ გაიყვანონ მთელი თავისი ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან.

ვ. მაჩავარიანი:

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მე და ჩემმა თერთმეტმა ამხანაგმა — აგრონომებმა და დამპროექტებლებმა დახმარება გაუწიეთ ვიეტნამელ მეგობრებს დიდი ტროპიკული საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებაში. და აი ახლა იმ მიწას, სადაც პირველი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, ჩინელი აგრესორები უშენენ ბომბებს, მაგრამ მათს აგრესიას დიდი დღე არ უწერია. სოციალისტური ვიეტნამი გაიმარჯვებს!

ი. სტავნისი:

ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მუშა.

პეკინელი შოვინისტები თავიანთი აგრესიული მოქმედებით ძირს უთხრიან მშვიდობას არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამიტომაც სამართლიანია საბჭოთა ადამიანების აღშფოთება. მშრომელი საქართველოც რისხავს ჩინელ აგრესორებს, მოითხოვს შეწყდეს სისხლისმღვრელი ომი ვიეტნამის მიწაზე.

მაღლობა თქვენ, საბჭოთა ადამიანებო!

— ამბობენ ვიეტნამელი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოში სწავლობენ სოციალისტური ცხოვრების შენებას

ომის ხანძარი კვლავ დაინთო ვიეტნამის მრავალტანჯულ მიწაზე — იგი იმპერიალიზმის წაქეზებით დიდხანური შოვინიზმით გაყოყოჩებულმა პეკინელმა ლიდერებმა მოახვიეს თავს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარ ვიეტნამელ ხალხს...

სამშობლოსგან შორს, ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავში აი უკვე ათ წელზე მეტია ვიეტნამელი ახალგაზრდები ეუფლებიან მუშურ პროფესიებს, რათა შეძენილი ცოდნა თავიანთი ქვეყნის განვითარებასა და აყვავებას მოახმარონ.

გუშინ „კომუნისტის“ კორესპონდენტები რუსთავში ეწვივნენ № 8 საქალაქო პროფტექნიკურ სასწავლებელს, სადაც ახლა 50 ახალგაზრდა ვიეტნამელი სწავლობს ქართველ, რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ თანატოლებთან ერთად. ახლახან აქ მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი გაიმართა, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის განცხადებას ვიეტნამში ჩინეთის აგრესიის თაობაზე და მკაცრად დაგმეს პეკინელი დამპყრობლების მუხანათობა.

— თქვენთან ვართ, ვიეტნამელო ძმებო! — ამბობდნენ მიტინგზე გამოსული მოსწავლეები და მასწავლებლები.

— მადლობა თქვენ, საბჭოთა ადამიანებო, ძმური მხარდაჭერისა და სოლიდარობის გამო! — თქვეს ვიეტნამელმა ახალგაზრდებმა.

აი აგრეთვე რა უთხრეს ვიეტნამელმა მოსწავლეებმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს:

ნგუენ ნგოკ ჰუე: ჩვენ, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდები, რომლებიც ახლა შორსა ვართ ომის ხანძარში გახვეული სამშობლოდან, სიამაყისა და მადლობის გრძნობით ვამბობთ, რომ საბჭოთა ძმები გამარჯვების რწმენას გვინერგავენ. დიდი მადლობა მათ ამისათვის!

ფან დიკ ტინი: ჩვენი საქმე სამართლიანია, მართალი საქმე კი ყოველთვის იმარჯვებს. ჩინელ აგრესორთა პროვოკაციულ გამოხდომებს ყოველთვის საკადრის პასუხს ვცემდით და ახლაც ასე იქნება. რამდენიმე თვეში სამშობლოში დავბრუნდებით. ჩვენი მიზანია საბჭოთა კავშირში, კერძოდ რუსთავში მიღებული ცოდნა რაც შეიძლება სრულად მოვახმაროთ სამშობლოს კეთილდღეობას, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კვლავ იარაღის ხელში აღება მოგვიხდეს, ახლა ჩვენი ხალხის უპირველესი ამოცანა სამშობლოს თავისუფლების დაცვაა.

მაი კუოკ ზოანი: ხო ში მინის სახელობის ვიეტნამის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები — ერთსულოვნად ვგრძნობთ საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანატოლების — კომკავშირელების სითბოსა და გულითად მხარდაჭერას. ეს ცხადად ვლინდება ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში გამართულ შეხვედრებზე, სასწავლებლის კომკავშირულ ორგანიზაციასთან ურთიერთობაში. ეს დიდი მეგობრობა გამარჯვების მტკიცე რწმენას გვინერგავს.

ჰოანგ ვან თხონგი: შშობლიურ ქალაქ თხაინგეუნში ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მეტალურგიული ქარხანაა. იქიდან ასიოდე კილომეტრია ფრონტის ხაზამდე. მთელი პროგრესული კაცობრიობა, საბჭოთა ხალხი ჩვენთან არის, მწამს გავიმარჯვებთ.

სურათზე: რუსთავში მოსწავლე ვიეტნამელი ახალგაზრდები თავიანთ გულისწყრომას გამოხატავენ ჩინეთის აგრესიის გამო.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ოლიმპიადა — 80

„ოლიმპიადა“ — 80 — ... ოლიმპიადა

... ...

თავდადებული შრომისათვის

დედაქალაქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები დამკვრელური შრომით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. სსრ კავშირის ყველა ამომრჩეველისადმი, ყველა მოქალაქისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ასოციასობით მოსკოველმა არჩევნების დღის აღსანიშნავად გაზრდილი სოციალისტური ვალდებულება იკისრა. ეს ითქვა 21 თებერვალ. გამართულ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისა და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ქალაქ მოსკოვისათვის მაღალი ჯილდოს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დავალებით მან გულთბილად მიულოცა დამსწრეთ და მათი სახით ყველა მოსკოველს დიდი შრომითი გამარჯვება. ხანგრძლივი ტაშის გრიალში ვ. ა. კირილინმა დედაქალაქის წარმომადგენლებს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა. ეს ჯილდო ქალაქს მიენიჭა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1978 წელს მიღწეული მაღალი შედეგებისათვის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა, რომელმაც დიდი მადლობა გადაიხადა.

კრების მონაწილეებმა აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისადმი. (საკდესი).

ჯილდოს გადაცემა

21 თებერვალს კრემლში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ჰ. ოტმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის დავალებით კარლ მარქსის ორდენი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ა. ნ. კოსიგინს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო მინიჭა თვალსაჩინო დამსახურებისათვის სსრ კავშირში სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობისა და ძმური კავშირის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, აგრეთვე დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაუხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს საპატიო ჯილდოსათვის და თქვა, რომ იგი მიიჩნია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამსახურების აღიარებად, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის სიმბოლოდ.

ორდენის გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები კ. თ. კატუშევი, ვ. ა. კირილინი, ტ. ი. კისელიოვი, მ. ა. ლესეჩკო, ე. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ს. სმირტიუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

მახარაძელთა პატრიოტულ თაოსნობას — მხარდაჭერა და გავრცელება

(დასასრული)

თითოეული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლოსამეურნეო ორგანიზაციისათვის, თითოეული ოჯახის, თითოეული მშრომელისათვის.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს დაევალათ ფართოდ გაშუქონ საკუთარი წარმოების ხორცით მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის შეჯიბრების მიმდინარეობა. პროპაგანდა გაუწონ პირუტყვის გამოზრდისა და სუქების პროგრესულ მეთოდებს, კაკაჩრიკონ პირუტყვის სუქებისა და ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვების ძიებასა და გამოყენებაში უყაირათობის, ნაკლოვანებებისადმი შემრგებლობის, თვითდამშვიდების ფაქტები.

„უზრუნველვყოთ რაიონი საკუთარი წარმოების ხორცით!“— გადაწყვიტეს მახარაძის რაიონის მშრომელებმა და მოწოდებით მიმართეს . რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ყველა მცხოვრებს.

რესპუბლიკის ყველა რაიონში, მათ შორის სუბტროპიკული მიწათმოქმედების ზონაშიც ჯერ კიდევ არის ხორცის წარმოების გადიდების გამოუყენებელი რეზერვები. მათი ამოქმედება გადაწყვიტეს მახარაძის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება ხორცის წარმოება ისეთ დონემდე გაზარდონ, რომელიც შესაძლებლობას მისცემთ უარი თქვან სახელმწიფო დოტაციაზე. ეს გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მახარაძელებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ვალდებულების შესრულებას.

მახარაძელებმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მოუწოდეს საქმე ისე მოაწყონ, რომ მიმდინარე წელს არ იყოს არც ერთი კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, რომელიც არ უზრუნველყოფს დიდ მატებას ხორცის წარმოებასა და მიყიდვაში.

„ჩვენ, მახარაძის რაიონის — ძირითადად სუბტროპიკული მიმართულების რაიონის — მეცხოველეობის ფერმების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სახელმწიფო კომპლექსების მუშაკები, — ნათქვამია მიმართვაში, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გეგმაზომიერად ვახორციელებთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებს. ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ 1972 წელთან შედარებით 1978 წელს ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 53 პროცენტით, ძროხა — 38 პროცენტით, კვერცხისა — 65 პროცენტით. შესამჩნევად გაუმჯობესდა მეცხოველეობის რეალიზებული პროდუქტების ხარისხი. ახლა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა 33 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო რეალიზებული უმაღლესი ნასუქობის პირუტყვის წონამ ნულიდან 30 პროცენტს მიაღწია. ყოველ ძროხაზე საშუალო ნაწველი გაიზარდა 400 კილოგრამით. თუ 1972 წელს სახელმწიფოსათვის მიყიდული ძროხის მხოლოდ 25 პროცენტი იყო პირველი ხარისხის, 1978 წელს პირველი ხარისხის ხვედრითმა წონამ 56,1 პროცენტს მიაღწია“.

რაიონში დიდი ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას. შეიქმნა სასუქებელი პუნქტები, რომლებიც წელიწადში 1400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის არის გათვალისწინებული, ხბორებისა და ჯიშიანი მოზარდეულის გამოსაზრდელი კომპლექსები — თითოეული 400 სულისათვის, მეცხოველეობის კომპლექსი სოფელ შრომაში, საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საერთიანება 400 სულისათვის, რეკონსტრუირებულია მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლის სიმძლავრე ახლა 25 ათას მოქცეულს შეადგენს. განხორციელდა ღონისძიებანი მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

ინტენსიურად მოქმედებს ქლორელას საამქრო სოფელ ძმითის კოლმეურნეობაში.

ამის მიუხედავად მეცხოველეობა რაიონის სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია. ხორცის წარმოება მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. შარშან, მაგალითად, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.306 ტონა, ხოლო მოხმარების სახელმწიფო ფონდებიდან მიიღეს 2.620 ტონა ხორცი.

მახარაძის რაიონის მშრომელებმა მოქმედების სახელმძღვანელოდ მიიღეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე გამოთქმული მითითება იმის შესახებ, რომ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უძრაველსობამ თვითონ უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილებანი ხორცსა და რძეზე, ამიტომ უკვე მიმდინარე წელს ითხოვეს რაიონისათვის შეემცირებინათ სახელმწიფო დოტაცია. მათ აგრეთვე გადაწყვიტეს 1981 წლისათვის მთლიანად დაეკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე ამ პროდუქტის საკუთარი წარმოების გადიდების გზით. **წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 1700 ტონა ხორცს, 394 ტონით მეტს, ვიდრე შარშან, 1980 წელს — 2.200 ტონას, ხოლო 1981 წელს — 2.700 ტონას, ესე იგი დამზადდება ერთიორად მეტი, ვიდრე 1978 წელს.**

ხორცის წარმოების სწრაფ გადიდებას ხელს შეუწყობს რაიონში მეცხოველეობის ისეთი სწრაფშედეგიანი დარგების განვითარება, როგორიც არის მეფორეობა და სახორკი მეფრინველეობა, განსაკუთრებით საბროილერო მეფრინველეობა.

„მოდით, ძვირფასო ამხანაგებო, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — ვიშრომოთ „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით. საქმიანი თანამეგობრობა, ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა საერთო წარმატების გარანტიაა. ურთიერთდახმარება ჩვენი საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმაა.

სწრაფი ტემპით განვავითარებთ რა საზოგადოებრივ მეცხოველეობას, ვიზრუნებთ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მოსამსახურეების პირადი დამხმარე მეურნეობებისთვისაც. მათ ვეხმარებით პირუტყვის შეძენაში, კონცენტრირებული საკვების გამოყენებაში, აგრეთვე ეზოს ნაგებობებისთვის საშენი მასალების შეძენაში. რაიონის ყველა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც კონტროლს უწევენ საკვები ბაზის ჩამოყალიბებას“. (საქინფორმი).

დავაჩქაროთ მეცხოველეობის სწრაფშედეგიანი დარგის განვითარება

პარტია და მთავრობა მეცხოველეებს ამოცანად უსახავენ განუხრელად ზარდონ ხორცის, რძისა და სხვა ძვირფასი სასურსათო პროდუქტების წარმოება. ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებები, ამ მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების, სამრეწველო და სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმოთა დაწესებულებათა შრომითი კოლექტივები, რომლებიც ამ დღეებში თავიანთ კრებებზე განსაზღვრავენ დასახული ამოცანის შესრულების გეგმებს.

ჩვენი რესპუბლიკის ხორცის რესურსების შევსების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მეცხოველეობა, რომელიც მაღალკალორიული და დიეტური პროდუქტს გვაძლევს. შემთხვევითი ოდენა, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაძლიერდა. ინტერესი ამ დარგის სამრეწველო საფუძველზე წარმოებისადმი, რისი გამოხატულებაც არის რესპუბლიკური მეფოლკეობის ფირმა-საბჭოთა მეურნეობის შექმნა. ახლა იგი აერთიანებს ყველა მსხვილ ფერმასა და კომპლექსს სოფელ კუმისში 10 ათასი დედაბოცვრისათვის.

მისი პირველი რიგი — სანახევრო სიმძლავრისა — შარშან ამოქმედდა.

სპეციალიზებული ფირმის ამ მეთაურ საწარმოში რამდენიმე დღის წინ გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მებოცვრეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თათბირზე მოხსენებითი მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თ. ჩიკვაიანე, ეკავშირის თავმჯდომარე კ. შავიშვილი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ქაჯაია, საქსახსოფლტექნიკის თავმჯდომარის მოადგილე ა. პაიჭაძე, საქართველოს სსრ სახმომაგების თავმჯდომარე ა. ბუაძე, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი ზ. ჩიტაშვილი და სხვები. ბოცვრის კომბინირებული საკვების ხარისხის გაუმჯობესების გზები გააშუქა საქართველოს სსრ დამზადების მინისტრმა შ. ჭანუყვაძემ. მსოფლიო ბაზარზე და ქვეყნის შიგნით მებოცვრეობის პროდუქციის კონიუნქტურა გააცნო შეკრებილთ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილმა. მებოცვრეობის მოქმედი და მშენებარე ობიექტების სპეციალისტთა და მასობრივ პროფესიათა კადრებით უზრუნველყოფის პრობლემები და დარგის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები გააშუქეს პარტიის გარდაბნის, ქარელის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, რაიკომების პირველმა მდივნებმა გ. კვანტალიანმა, ო. კილასონიამ, ი. გონაშვილმა, მ. მეზვრიშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. პატარაშკილი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მებოცვრეობას, როგორც სწრაფშედეგიან დარგს რესპუბლიკის ხორცის რესურსების შევსებისა და ბოცვრის ტყავის ნაწარმის გამოშვების გაფართოებისათვის.

აღინიშნა, რომ საჭიროა დაიცალოს რესპუბლიკაში მებოცვრეობის განვითარების უფრო მასშტაბური ამოცანები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

(საქინფორმი).

ДЕПУТАТОБИС КАНДИДАТЕБИ

ЗАТИВИСЦЕМА და სიყვარული მხოლოდ მაშინ მოდის, როცა ადამიანი თავის საქმეს მთელი გულით, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება, როცა საყვარელ საქმეს თავის სიცოცხლის ნაწილს აქცევს.

შემთხვევითი როდია, რომ თბილისის კ. დ. უშინსკის სახელობის პირველ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ამავე სკოლის მოწინავე პედაგოგი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი ია მანჯგალაძე. **სურათზე:** პედაგოგი ია მანჯგალაძე.

ა. საპკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ასამოქმედებლად გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1978 წლის შედეგები, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ წარმოადგინა, და გამარჯვებულად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით №№ 1, 3, 7, 14 ტრესტები, „ციწყისქვეშსპეცმშენმონტაჟი“, ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით № 12 ტრესტი და რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ხაზით „მონტაჟთერმულნაწარმის“ სამმართველო და გარდაბნის სამონტაჟო ნამზადების ქარხანა.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“, თბილისის კერამიკული კომბინატი, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, ტყვარჩელის საშენ მასალათა ქარხანა, ჩხარის ფიქლის ქარხანა, სამთო და გეოლოგიურ-საზვერ სამუშაოთა სამმართველო, ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო.

„ენგურჰესმშენის“ სამმართველო

კავკასიის „ელექტროქსელმშენის“ ტრესტი

აღინიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ: **საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში** — №№ 5, 6, 11, 13 ტრესტები; „კურორტმშენი“, ბათუმისა და რუსთავის სახლსაშენებელი კომბინატები; **საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში** — №№ 1, 2, 5, 6 და 8 ტრესტები; **საქართველოს სსრ საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში** — რუსთავის ცემენტის ქარხანა, გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხანა, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1978 წლის III-4 კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

I ზონაში: თელავის რაიონი — პირველი ადგილი
გარდაბნის რაიონი — მეორე ადგილი
მარნეულის რაიონი — მესამე ადგილი

II ზონაში: ბოლნისის რაიონი — პირველი ადგილი
მცხეთის რაიონი — მეორე ადგილი
გორის რაიონი — მესამე ადგილი

III ზონაში: ახალციხის რაიონი — პირველი ადგილი
დმანისის რაიონი — მეორე ადგილი
ჯავის რაიონი — მესამე ადგილი

IV ზონაში: ლენტეხის რაიონი — პირველი ადგილი
მესტიის რაიონი — მეორე ადგილი
ქ. ჭიათურის ზონა — მესამე ადგილი

V ზონაში: საჩხერის რაიონი — პირველი ადგილი
მაიაკოვსკის რაიონი — მეორე ადგილი
თერჯოლის რაიონი — მესამე ადგილი

VI ზონაში: ჩხოროწყუს რაიონი — პირველი ადგილი
მახარაძის რაიონი — მეორე ადგილი,
ცხაკაიას რაიონი — მესამე ადგილი

VII ზონაში: გალის რაიონი — პირველი ადგილი
ქობულეთის რაიონი — მეორე ადგილი
სოხუმის რაიონი — მესამე ადგილი

გამარჯვებულებს წაახალისებენ. (საქინფორმი).

ПАРТИИС СИТ ЧУА — МАСЕБШИ

ГИ ОМАС მეცნიერსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკს, მაღალკვალიფიკაციან კულტურის მოღვაწეს აეთიანებენ თავიანთ რიგებში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები. კაიმართა პლენუმი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ვ. კოგოხიამ.

მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პატიოსანი წარმოებისა ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას მჭიდროდ უკავშირდება მსრომელი მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მუდმივ სრულყოფას.

პლენუმზე წაიკითხეს საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მშრომელთა შორის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე ე. კ. ხარაძე დაჯილდოვდეს აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის მედლით.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდისათვის, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ წევრ მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფს გადაეცა საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ სამკერდე ნიშნები „აქტიური მუშაობისათვის“, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ სწავლულ მდივნად და გამგეობის პრეზიდიუმის წევრად არჩეულია რ. ა. დევნოზაშვილი.

რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმში შეივიდნენ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ა. ძიძარია, საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. დ. დიასამიძე, საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ-ოსეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ს. შ. გაბარაევი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნ. ნეფედოვი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნ. ტ. თავართქილაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზიანი, საქართველოს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ი. ქარუმიძე.

(საქინფორმი)

1979 4 მარტი
სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების დღეა!

ხალხის საკეთილდღეოდ

ამომრჩეველთა შეხვედრა
თ. ი. მოსაშვილთან

საღამოობით **ბორთულ** **რაიონულ** **კულტურის** **სახლში** **სსრ** **კავშირის** **უმაღლესი** **საბჭოს** **ეროვნებათა** **საბჭოს** **არჩევნების** **№ 167** **ამბროლაურის** **საარჩევნო** **ოლქის** **ამომრჩევლები** **შეხვდნენ** **დეპუტატობის** **კანდიდატს** **ამ** **ოლქში,** **საქართველოს** **პროფესიული** **კავშირების** **საბჭოს** **თავმჯდომარეს** **თეიმურაზ** **ილიას** **ძე** **მოსაშვილს.**

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვ. შარაბიძემ. მან აღნიშნა ის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომელმაც საბჭოთა ხალხი ეგებება ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სამპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილემ თ. ვ. სვანიძემ ილაპარაკა თ. ი. მოსაშვილის ცხოვრების გზაზე, თქვა, თუ რა საქმიანობას ეწევა იგი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. მან მოუწოდა ამბროლაურის, ონის, ლენტეხის, ცაგერის, სამტრედიის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, ხონის, ვანის, ბაღდათის, თერჯოლის, ჭიათურის, ტყიბულის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ხობის, ანაკლიის, ფოთის, ფაქიზ ბალიანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბოლნისის, ყაზბეგ

ჩვენ ვიცით ჩვენი ძალები, ჩვენი შესაძლებლობანი და გულდაჯერებით შევუურებთ მომავალს. ჩვენი არმია მშვიდობის არმიაა. მას არა აქვს სხვა მიზნები, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისა. უზრუნველყოფის გარდა.

ლ. ი. ბრეჟნევი.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა!

სამშობლოს იმედი დაგურეკ

პატივცემულო რედაქციავ!

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი დამსახურება, რომელიც ქართველ მხედართმთავრებს მიუძღვით სამოქალაქო ომსა თუ დიდ სამამულო ომში. მარტო გენერლების კონსტანტინე ლესელიძისა და პორფილე ჩანჩიბაძის დასახელება რადა ღირს!

გთხოვთ მოგვითხროთ თანამედროვე ქართველ გენერლებზე.

დ. ჩხეიძე, ს. კოფორიძე, გ. აიდარაშვილი, ვ. შალამბერიძე, — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები.

იმ ქარცეცხლიან დღეთა მოსაგონებლად

ამ დღეებში რედაქციამ მოსკოვიდან მიიღო ყოფილი ფრონტელი ჟურნალისტის, ამჟამად გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ თანამშრომლის ა. პოპოვის მოგონებანი ქართველ მებრძოლზე. ეს არის ერთი ეპიზოდი დიდი სამამულო ომის გმირული ეპოპეიდან, რომელშიც მკაფიოდ აისახა ჩვენი ხალხის გმირული სული, მეგობრობის ის დიადი ძალა, რომელმაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ძლევამოსილი გამარჯვება გამოსჭედა.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ წერილს, რომელიც ადამიანური სითბოთი და შინმოუსვლელთა ხსოვნისადმი უსაზღვრო პატივისცემით არის დაწერილი.

მოველ შენთან, უფროსო ლეიტენანტო!

ჩემს თავს სიტყვა მივეცი მომეძებნე და მომენახულებინე, უფროსო ლეიტენანტო კანაშვილო! და აი, მოვედი კიდეც შენთან, ნიკო! ნუ გაიოცებ, ასე შინაურულად რომ მოგმართავ. დიახ, ჩვენ პირადად არასოდეს გაგვიცვნია ერთმანეთი, მაგრამ შენს ძებნაში გალეულმა დღეებმა, შენზე ფიქრმა ისე დამაახლოვა შენთან, რომ ჩემთვის ახლობელ კაცად იქეც. და ამიტომაც გესაუბრები ასე მეურად. გულმა მოიწადინა, ნიკო, შენთან ერთად წარსულში გადამეხედა და მეამბნა ის, რაც შენ არ იცოდი და არც შეიძლებოდა გცოდნოდა. დაე, ყური დაგვიგდონ შენმა თანამებრძოლებმაც, შენს გვერდით რომ არიან, ბიჭებმა, რომელთა სახელები, ვწუხვარ, არ ვიცი. დაე, შენი ამბავი სხვებმაც იცოდნენ და მოისმინონ. შენ ამის ღირსი ხარ.

ეჰ, რა დასანანია, რომ ასე გვიან მოგაგენი, იმ ტრაგიკული გაელვებიდან ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ. მაგრამ შენ, ესოდენ კეთილი და ზრდილი ადამიანი (ასე ამბობდნენ შენზე ისინი, ვინც კი გიცნობდა), ალბათ გამიგებ და მაპატიებ, მაპატიებ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულ ზაფხულს შევძელი მიმეკვლია სტალინგრადის ფრონტის ყოფილი 91-ე მსროლელი დივიზიის გაზეთ „სტალინსკი უდარის“ აკინძული, ნომრებისათვის, რომლის რედაქციაშიც მომიხდა მუშაობა, ჰოდა, სწორედ ეს დამეხმარა ზედმიწევნით აღმედგინა მეხსიერებაში შემორჩენილი ზოგიერთი საბრძოლო ეპიზოდი.

მთელი ამ ხნის მანძილზე მახსოვდა მამაცი ოფიცერი, რომლის საბრძოლო საქმეებზე მრავალჯერ დაწერილა ჩვენს სადივიზიო გაზეთში. ერთხელ მას ფრონტელმა პოეტმა ნიკოლოზ დურაჩმა დიდი ლექსიც კი უძღვნა. ის მეთაური ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით სამშობლოს დასაცავად საბრძოლო დავალების შესრულების დრო გამოჩენილი მამაცობისათვის.

მაგრამ ვერც მისი წოდება, ვერც გვარი, და, მით უმეტეს, სახელი ვერაფრით ვერ გავიხსენე. და აი, თვალი რომ გადავავლე საახალწლო ნომრის მოწინავე სტატიას, რომელსაც ერქვა „ახალი გამარჯვებისაკენ!“, უცებ წვაღწყდი გვარს **კანაშვილს:** „გასულ 1942 წელს თითოეულმა ჩვენგანმა სიცოცხლეს გამოასალმა მრავალი ჰიტლერელი. მარტო კანაშვილის საბრძოლო ანგარიშზეა 150 დახოცილი გერმანელი ფაშისტი“. ახლა კი ცხადი გახდა: სწორედ შენ მყავდი მხედველობაში, აგრერიგად რომ ვცდილობდი გახსენებას. მეორე ნომერში ვრცელი კორესპონდენცია შემხვდა — „საბჭოთა დეგამირი“, რომელსაც შავი ჩარჩოს ქვეშ, ნიკო, გერმანელთა სატანკო კონტრშეტევის მოგერიების დროს, გმირულად დაღუპული უცებ აღმოჩნდი... უგზოუკვლოდ დაკარგული?!

მაინც როგორ მოხდა, რომ შენ უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში მოხვედი? თუმცა, ნიკო, ნუ ვიმკითხავებთ, რა არ ხდებოდა იმ ხანად. ჩემს მშობლებსაც ხომ აცნობეს ჩემი დაღუპვის ამბავი, მაგრამ ცოცხალი ვარ.

მაშასადამე შევუურიგდე ოფიციალურ ვერსიას? თავში რაღაც უსიამოვნო აზრმა გამკრა: ნუთუ საერთოდ დავიწყებულია სახელი, რომელიც მთელ დივიზიაში ქუხდა? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია.

მრავალი მოსკოველი თუ ლენინგრადელი, ვორონეჟელი თუ პოდოლსკელი, უკრაინელი თუ ყალმუხი მზრუნველი და გულისხმიერი ადამიანის, მომსახურისა თუ კერძო პირის დახმარებით ბოლოს და ბოლოს შეეძელით დაგვეზუსტებინა, ნიკო, ეს შენ. ნიკო, გერმანელთა სატანკო კონტრშეტევის მოგერიების დროს, გმირულად დაღუპული უცებ აღმოჩნდი... უგზოუკვლოდ დაკარგული?!

მაინც როგორ მოხდა, რომ შენ უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში მოხვედი? თუმცა, ნიკო, ნუ ვიმკითხავებთ, რა არ ხდებოდა იმ ხანად. ჩემს მშობლებსაც ხომ აცნობეს ჩემი დაღუპვის ამბავი, მაგრამ ცოცხალი ვარ.

მაშასადამე შევუურიგდე ოფიციალურ ვერსიას? თავში რაღაც უსიამოვნო აზრმა გამკრა: ნუთუ საერთოდ დავიწყებულია სახელი, რომელიც მთელ დივიზიაში ქუხდა? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია.

მრავალი მოსკოველი თუ ლენინგრადელი, ვორონეჟელი თუ პოდოლსკელი, უკრაინელი თუ ყალმუხი მზრუნველი და გულისხმიერი ადამიანის, მომსახურისა თუ კერძო პირის დახმარებით ბოლოს და ბოლოს შეეძელით დაგვეზუსტებინა, ნიკო, ეს შენ. ნიკო, გერმანელთა სატანკო კონტრშეტევის მოგერიების დროს, გმირულად დაღუპული უცებ აღმოჩნდი... უგზოუკვლოდ დაკარგული?!

ეს ამბავი ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

შეწყდეს აგრესია, დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჩინეთმა ჯარები ვიეტნამიდან!

მსოფლიო აღშფოთებულია სოციალისტურ ვიეტნამზე ჩინეთის ვერაგული თავდასხმის გამო. ბევრ ქვეყანაში იმართება მიტინგები, კრებები, მანიფესტაციები, რომელთა მონაწილენი გულისწყრომით გმობენ აგრესორს, მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჩინეთის ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან. მსოფლიო პრესა კვლავ ვრცელ კომენტარს უძღვნის საბჭოთა მთავრობის განცხადებას და აღნიშნავს, რომ როგორც ხაზგასმულია ამ დოკუმენტში, ჩინეთის ჯარების შეჭრა ვიეტნამში, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ მოიგერია გარეშე აგრესია, გულგრილს ვერ დატოვებს ვერც ერთ პატიოსან ადამიანს დედამიწის ზურგზე, ვერც ერთ სუვერენულ სახელმწიფოს.

სოციალისტურ ვიეტნამზე ჩინეთის ვერაგული თავდასხმა მეტად საშიში ავანტიურაა, აღნიშნავს კუბის „გრანმა". მაგრამ ჩინელი ჰეგემონისტები, რომლებიც იმედოვნებდნენ იარაღის ძალით განეხორციელებინათ თავიანთი, თვითმპყრობელური ზრახვები, მოტყუვდნენ: ვიეტნამის სახით მათ დაუხვდათ სახალხო სოციალისტური წყობილება, სახალხო არმია, ქვეყანა, რომლის პოლიტიკა მიზნად ისახავს სამშობლოს დაცვას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის დაცვას.

ვიეტნამზე ჩინეთის დანაშაულებრივი თავდასხმა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის აბუჩად აგდებაა, წერს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი **„ნოიეს დოიჩლანდი"**.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო რეზოლუცია, სადაც მოითხოვს, რომ ჩინეთმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამის ტერიტორიიდან.

აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების აღმაშფოთებელი დარღვევაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აბუჩად აგდებაა, განაცხადა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა **ჰ. მაკლენანმა.** შეეხო რა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური ლონდონის პოზიციას ვიეტნამზე ჩინეთის თავდასხმის მიმართ, მან ეს პოზიცია დაახასიათა როგორც აღმაშფოთებელი. ინგლისის მთავრობას, თქვა ჰ. მაკლენანმა, პარლამენტის მრავალი წევრის პროტესტების მიუხედავად, გადაწყვეტილი აქვს დაამთავროს პეკინთან გარიგება რეაქტიული თვითმფრინავების „ჰარიერის" მიყიდვის შესახებ. ინგლისის პრესა იუწყება, რომ ჩინელი მილიტარისტებისათვის „ჰარიერების" მიყიდვაზე უარის თქმა მოითხოვეს პარლამენტის ლეიბორისტმა დეპუტატებმა ს. ნიუენსმა, ი. მიკარდომ, ჯ. რიჩარდსონმა.

ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე ჩინეთის ვერაგულმა სამხედრო თავდასხმამ შეაძრწუნა ყველა პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ადამიანი მსოფლიოში, — ნათქვამია **ირანის სახალხო პარტიის** ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში. ჩინეთის ხელმძღვანელები უკვე დიდი ხანია დაადგნენ ყველაზე შავბნელ იმპერიალისტურ ძალებთან გარიგების გზას, აშკარად უდალატეს ხალხთა ინტერესებს, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობებს. ირანის სახალხო პარტიას მიაჩნია, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა მიერ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ გაჩაღებული აგრესია არის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის ღალატი".

ამ სამხედრო შეტაკებამ ლახვარი ჩასცა იაპონიასაც, წერს იაპონური **„მაინიჩი"**. ჩინეთ-ვიეტნამის კონფლიქტი ამხილებს იმ მტკიცებას, თითქოს იაპონია-ჩინეთისა და ამერიკა-ჩინეთის დაახლოება იყოს „სტაბილურობის ფაქტორი" აზიისა და წყნარი ოკეანის აუზში. ამ დაახლოების გამო საბჭოთა კავშირის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ახლა მეტად დამაჯერებლად გამოიყურება.

რუმინეთ ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **დოდემ** სახალხო კრებაში გამოსვლის დროს განაცხადა, უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩინეთის სოციალ-იმპერიალიზმი, ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე ერთგული მოკავშირე, ვერაგულად დაესხა თავს გმირ ვიეტნამს. ჩვენი პარტია, მთავრობა და ხალხი გულისწყრომით გმობენ ჩინეთის სოციალ-იმპერიალიზმის შეიარაღებულ აგრესიას მომძე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მომძე ვიეტნამელი ხალხისათვის ამ კრიტიკულ მომენტში ჩვენი პარტია, მთავრობა და ხალხი მხურვალე თანაგრძნობას და ინტერნაციონალისტური სოლიდარობის გრძნობებს უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს. ამავე დროს ისინი გამოთქვამენ თავიანთ სიძულვილსაც ჩინეთის სოციალ-იმპერიალისტი აგრესორებისადმი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრესას, რადიოს და ტელევიზიას დღემდე არაფერი არ გადაუციათ ვიეტნამის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესიის შესახებ.

დაუვიწყარი გმირობა

ნიუ-იორკი, 21 თებერვალი. (საკადესის კორ.). **შეერთებულ შტატებში არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ სატელევიზიო მრავალსერიიან დოკუმენტურ ფილმს დიდი სამამულო ომის შესახებ.** ეს 20-სერიიანი კინოეპოპეა დამაჯერებლად მოგვითხრობს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დაუვიწყარი გმირობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე, მის აუარაჯელ მსხვერპლზე, საბჭოთა არმიის გადამწყვეტ წვლილზე ფაშიზმის განადგურებასა და ნაცისტური უღლისაგან ევროპის ხალხების განთავისუფლებაში.

ვითარება ირანში

თეირანი, 21 თებერვალი. (საკადესი). ირანის ეროვნული არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა გარანმა აქ გამართულ ჭრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დღეისათვის შეიარაღებული ძალებიდან დაითხოვეს ყველა არმიისა და კორპუსის გენერალი, აგრეთვე დივიზიისა და ბრიგადის გენერლების ნაწილი, რომლებმაც სახელი გაიტეხეს შაჰის რეჟიმის დროს.

მან თქვა, რომ უახლოეს ხანში რევოლუციური რაზმების მბრძოლთაგან შინაგანი წესრიგის დასამყარებლად შეიქმნება ეროვნული გვარდია. გენერალური შტაბის უფროსმა აღნიშნა, რომ ირანის არმიაში ახლა არ დარჩენილა არც ერთი ამერიკელი სპეციალისტი. მან თქვა, რომ ახალი რეჟიმის დროს ირანიდან აღარ განხორციელდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ელექტრონული სადაზვერვო თვალთვალი, და ხაზი გაუსვა, რომ არმიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა და არა პოლიციის ფუნქციების შესრულება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკთა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვა, რომ ირანიდან გაქცეული შაჰი ქვეყანაში დაბრუნონ და სამართალში მისცენ.

აქ გაიმართა შაჰის რამდენიმე ყოფილი მცველის პრესკონფერენცია, რომლებმაც აღარ მოისურვეს დამხობილი მონარქიის სამსახური და გუშინ თეირანში დაბრუნდნენ შაჰის პირადი თვითმფრინავით, რომელიც ხელთ იგდეს მისივე ეკიპაჟის წევრებმა. პრესკონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ შაჰი გულუხვი დაპირებებით ცდილობდა თავისთან დაეტოვებინა ისინი, მაგრამ მათ ამჯობინეს საკუთარ სამშობლოში დაბრუნება, თუმცა აქ, შესაძლოა სასამართლოს წინაშე წარდგომაც კი მოუხდეთ. როგორც მათ თქვეს, შაჰს იცავს ასობით მარაოელი ჯარისკაცი, დარჩენილი ოთხი ირანელი მცველიც თეირანში ჩამოსვლას აპირებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ პრესაში გამოჩნდა ცნობები, თითქოს შაჰი შვეიცარიაში აპირებდეს დასახლებას, ირანის ხელისუფლებმა შვეიცარიის მთავრობას მოუწოდეს — არ მისცეს მას თავშესაფარი ამ ქვეყანაში.

ვაშინგტონი, 21 თებერვალი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მიიღებს შაჰს, თუ იგი ამერიკაში ჩამოსვლას გადაწყვეტს.

იგერიებენ ჩინეთის აგრესიას

ჰანოი, 21 თებერვალი. (საკადესი), საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ აგრესორის ჯარებს აძლიერებენ ახალ-ახალი ქვეითი ჯარის ნაწილებით, ტანკებითა და არტილერიით, კერძოდ, ლანგშონის მიმართულებით. ჩინეთის საზღვრის მახლობლად მდებარე ვიეტნამის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს გააფთრებით უშენენ არტილერიის ცეცხლს ჩინეთის ტერიტორიიდან.

როგორც ვიეტნამური წყაროების, ისე საზღვარგარეთის სააგენტოების ცნობები ააშკარავებენ პეკინის მტკიცებებს, თითქოს ამ დღეებში ჩინეთის ჯარები დაეპყრათ ვიეტნამიდან. აგრესორის ამ ძონაჭორს, როგორც ფაქტები მოწმობს, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან და აშკარად დეზინფორმაციული ხასიათისაა. სინამდვილეში ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე სომარი მოქმედება სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ საქმე ეხება არა რაღაც „ლოკალურ" მოქმედებას, როგორც პეკინელი ცრუპენტელები ამტკიცებენ, არამედ ჩინეთის ფართო მასშტაბის აგრესიას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მსახიობი და როლები

უკანასკნელ სისხლის წვეთამდე



პოლონელმა კინემატოგრაფისტებმა ცნობილი პოლონელი მწერლის ზბიგნევ საფიანის „ინოსცენარის მიხედვით შექმნეს ორსერიიანი მხატვრული ფილმი „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე" („გზა პოლონეთისაკენ".) ფილმი გადაიღო პოპულარულმა რეჟისორმა ეჟი ჰოფმანმა. საბჭოთა კინომოყვარულებს კარგად ახსოვთ მისი ფილმები „განსტერები და ფილანტროპები", „კანონი და მუშტი", „სამი ნაბიჯი დედამიწაზე", „ვან ვოლოდიევსკი", „წარღვნა" და სხვ.

რეჟისორის ახალი ფილმი „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე" მოგვითხრობს ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული პოლონეთისა და მისი ხალხის მძიმე დღეებზე მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლებში. საინტერესოდ გადაღებული სხვადასხვა ეპიზოდის გარდა, ფილმში ნაჩვენებია ისტორიული მოვლენების ამსახველი სცენები. ფირზე აღბეჭდილია ჩვენი სახელმწიფოს ლიდერებისა და პოლონეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა სამნაირი შეხვედრები მოსკოვში, ამ შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოლონური დივიზიების შექმნა და ჩვენი გმირი წითელი არმიის მამაც მეომართა მხარდამხარ მათი თავგანწირული შემართება ნაცისტი აგრესორების სრული განადგურებისათვის.

მთავარ როლებს ასრულებენ პოლონელი მსახიობები ტომაშ ბორკოვი, ანა დომნა და სხვები.

ფილმში ი. სტალინის განასახიერებს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ანდრო კობალაძე. 1938 წლიდან დღემდე მას მრავალჯერ შეუსრულებია ეს როლი თეატრსა და კინოში. შარშან ნ. სტალინის სახე მან შექმნა კინოსტუდია „მოსფილმში" გადაღებულ კინომოთხრობაში „ფრონტის ხაზს მიღმა ფრონტია", რომელსაც ამ რამდენიმე თვის წინათ წარმატებით უჩვენებდნენ ჩვენი ქვეყნის კინოეკრანებზე („კომ." კორ.).

* * *

სურათზე: *კადრი ფილმისა „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე". ი. სტალინის (ა. კობალაძე), საუბარი პოლონელ გენერალ სიკორსკისთან კინოდარბაზში.*

სერგო ზაქარიაძის დიდი ცხოვრება

მოსკოვის კინოთეატრ „თბილისში" ფილმით „ჯარისკაცის მამა" დაიწყო იმ ქართული ფილმების კვირეული, რომლებშიც სერგო ზაქარიაძე მონაწილეობდა.

კვირეულის პროგრამაშია კინოსურათები „შეხვედრა წარსულთან!", „მალე გაზაფხული მოვა", „გიორგი საკაძე".

მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე კვირეულის გახსნისას ილაპარაკეს კინომცოდნემ ლ. კულრიავცევამ, აგრეთვე მოსკოვის 884-ე სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც ამასწინათ ეწვივნენ გურჯაანს და ნახეს მემორიალი „ჯარისკაცის მამა". მათ ყვავილებით შეამკეს ძეგლი, რომელმაც ასახა ს. ზაქარიაძის მიერ ეკრანზე შექმნილი სახე.

მოსკოვის გარნიზონის მეომართა სახელით გამოვიდა რიგითი ჯარისკაცი ა. ბოლდარევი:

— ჩვენთვის დაუვიწყარია შეხანიშნავი ქართველი მსახიობის სახელი, რომლის შემოქმედება გამსჭვალულია მაღალი მოქალაქეობრიობით, — თქვა მან. ს. ზაქარიაძემ შექმნა ჯარისკაც მახარაშვილის სახე, რომელიც გამოხატავს ჩვენი მამების გმირულ ხასიათს.

რ. ანდრონიკაშვილი,
(საინფორმის კორ.).
ქ. მოსკოვი.

შემთხვევა

პირუტყვი გადაარჩინეს

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ეს მოხდა ლელას მეცხოველეობის ფერმაში. მსხვილფეხა რქოვანი პირუტყვის ერთ-ერთ კორპუსს ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის გაჩენა პირველად ხრესილის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანაში შეიტყვეს. ლოდინის დრო აღარ იყო. ქარხნის სახანძრო რაზმი ჯ. ნანეიშვილის ხელმძღვანელობით შემთხვევის ადგილისაკენ გაეშურა.

მეხანძრეებს ადგილზე რთული მდგომარეობა დახვდათ. ხანძარი თანდათან ძლიერდებოდა, იწვოდა ფერმის შენობა, განადგურების საფრთხე შეექმნა საზოგადოებრივ პირუტყვს. ჯ. ნანეიშვილმა რაზმი ორ ჯგუფად დაყო. პირველი ჯგუფი ფერმის მუშაკებთან ერთად ალმოდებული შენობიდან პირუტყვის გამოყვანას შეუდგა. მეორე ჯგუფი კი ხანძარს ეკვეთა.

სულ მალე მამაცმა ადამიანებმა პირუტყვი სამშვიდობოზე გაიყვანეს.

ლიდეროგენ ამიერ-კავკასიელები

თბილისის ოფიცერთა სახლის დიდ დარბაზში გრძელდება ტურნირის შეიარაღებული ძალების მოჭიდრაკეთა გუნდური პირველობის ზონალური ტურნირი. გათამაშდა მეშვიდე ტურები. ამიერკავკასიელებმა დამამარცხეს მოსკოვის საჰაერო თავდაცვის ოლქის მოჭიდრაკეები ანგარიშით 5:2. ამ მატჩში ნონა გაფრინდაშვილმა კვლავ გაიმარჯვა და მან გუნდს უკვე შეექვსე ქულა შესძინა. გაიმარჯვეს აგრეთვე ჩეჩელიანმა, იზვოზჩიკოვმა და გრიგელაშვილმა. კორსუნსკიმ და ლპუტიანმა ნახევარ-ნახევარი ქულა მოიპოვეს. წაგო მხოლოდ ალიხანაშვილმა. ოდესის სამხედრო ოლქის მოჭიდრაკეებმა წაგეს შეხვედრა ბალტიისპირელებთან — 3:4.

ამიერკავკასიელებმა ოდესელებს წინ გაესწრეს და ახლა 28,5 ქულით (6 მატჩიდან) გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ. ოდესელებმა პირველიდან მეორეზე გადანაცვლეს — 27 ქულა (6 მატჩიდან). მესამე ადგილზე არიან ბალტიისპირელები — 26,5 ქულა (7 მატჩიდან).

დღეს ერთმანეთს ხვდებიან ლიდერები — ამიერკავკასიელები და ოდესელები.

სპორტი სოციალიზმის ქვეყნებში

ფიზკულტურა ყველასათვის

სოფია. „ბულგარეთი-35 — მოსკოვი-80" — ასე ეწოდება მასობრივ სპორტულ შეჯიბრებას, რომელიც დაიწყო ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 35-ე წელს. მასობრივი ასპარეზობები იმართება ქროსში, ცურვაში, სათხილამურო რბოლებში. ეწყობა აგრეთვე, ტურისტული ლაშქრობები, რომლებშიც ასეულ ათასობით სხვადასხვა ასაკის ფიზკულტურელი მიიღებს მონაწილეობას. ისინი, ვინც ამგვარ შეჯიბრებაში ოცდახუთმეტჯერ სცდიან ძალებს, საძახსოვრო მედლებს მიიღებენ.

„ტალანტების თასი"

პრაღა. საოლქო ქალაქ ლიბერეცში სტარტი მიეცა ჩეხოსლოვაკიის სპარტაკიადას. ათი საოლქო ცენტრის, აგრეთვე, პრაღისა და ბრატისლავის სასკოლო გუნდები გაითამაშებენ „ტალანტების თასს". ანალოგიური, ზაფხულის სპარტაკიადა გაიმართება ივნისში.

სპარტაკიადის ციფრები

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ობერვიზენტალში მიმდინარეობს მოსწავლეთა ზამთრის მე-7 სპარტაკიადა. ზამთრის სპარტაკიადებში მონაწილეობას მიიღებს 400 მოთხილამურე, 300 მოციგურავე, 150 მოციგავე და ამდენივე ბიატლონისტი. შეჯიბრებებს მოემსახურება 240 არბიტრი. მოსსპარეზენი სულ 116 ოქროს მედალს გაითამაშებენ.

პრესკონფერენცია აეროპორტში

ნიცაში, აეროპორტში მოკლე პრესკონფერენციის დროს საერთაშორისო ოლიმპიადის კომიტეტის პრეზიდენტმა, ლორდმა კილანინმა განაცხადა, რომ „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა პატივს არ სცემს ოლიმპიურ იდეალებს და ამიტომ იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს მოსკოვის ოლიმპიადაში". მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებს მოსკოვში ჩინებული დახვედრა ელით ოლიმპიურ სოფელთაგან ყველაზე მშვენიერში, რომელიც კი შე ოდესმე მინახავს".

ეკონომიკა — ეკონომიკა

ბიუჯეტი — უარი

მონაკო. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები — ესპანელები, როგორც ჩანს, ამთავითვე სერიოზულად ფიქრობენ ეროვნული ნაკრების 1982 წლის ორთაბრძოლებში წარმატებით გამოსვლაზე.

ახლახან ესპანურმა გაზეთმა „ელ კორრეო დე ანდალუზიამ" გამოაქვეყნა წერილი. მასში ლაპარაკია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ახალ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად 1980 წლიდან ესპანეთში უნდა აიკრძალოს უცხოელ ფეხბურთელთა იმპორტი. მას შემდეგ, რაც სპორტულ გაერთიანებათა დირექტორმა ბენიტო გასტეიონმა (ფაქტიურად ესპანეთის სპორტის მინისტრმა) ეს ცნობა სპეციალურ ბიულეტენად გამოსცა, დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა.

უმთავრესი საკლების გუნდების პრეზიდენტებმა გადაწერეთ გაილაშქრეს ახალი წესის წინააღმდეგ და მოითხოვეს ერთ კლუბში ორი უცხოელი ფეხბურთელის თამაშის უფლების დატოვება.

ამჟამად ესპანეთის ეროვნული ფეხბურთი იმპორტის ტყვეობაშია, სულ უფრო მატულობს უცხოელ ფეხბურთელთა ახალი ნაკადი. დღეისათვის ესპანეთის უმაღლეს ლიგაში მარტო სამხრეთ ამერიკიდან 60 მოთამაშე ასპარეზობს. მათ შორის 32 არგენტინელი, 10 ურუგვაელი, 15 პარაგვაელი და 3 ბრაზილიელი. ახლა თუ ევროპულ იმპორტსაც დავუმატებთ, მივხვდებით, რომ ყოველივე ეს არა მარტო აბრკოლებს მოზარდი თაობის დოსტატებას, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს საკლუბო გუნდების ეროვნულ სტილზეც, საერთოდ ესპანური ფეხბურთის განკითარებაზე.

ლ. დადიანი.

გ. კალანდაძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 67 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი **გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძე.**

გიორგი კალანდაძე ქართველ მწერალთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც ლიტერატურულ სარბიელზე 30-იან წლებში გამოვიდა. მისი პირველი ლექსი 1934 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალში". მას შემდეგ კალანდაძის ლექსები სისტემატიურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა წიგნებად.

გ. კალანდაძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა მხატვრული თარგმანის დარგშიც.

1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. აქ 1972 წელს გიორგი კალანდაძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე „გიორგი ლეონიძის შემოქმედება", რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ქართველი მწერლების გულში მარად დარჩება გ. კალანდაძის — ნიჭიერი შემოქმედისა და მეცნიერის, შესანიშნავი მოქალაქისა და ადამიანის ნათელი ხსოვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

სწავლობენ რუსულ ენას



დიდ წარმატებებს მიაღწია რუსული ენის ინსტიტუტმა, რომელიც ვარშავაში გაიხსნა როგორც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

ინსტიტუტში ანატოლი კოვალიოვის ხელმძღვანელობით მუშაობენ საბჭოთა და პოლონელი სპეციალისტები.

ინსტიტუტის თანამშრომელთა მიზანია დახვეწონ და სრულყონ უცხოელთათვის რუსული ენის სწავლების ახალი მეთოდიკა, მოამზადონ სასწავლო სახელმძღვანელობები.

რუსული ენის ინსტიტუტში კვალიფიკაციას იმაღლებს მრავალი პოლონელი რუსისტი. მათ განკარგულებაშია ლინგაფონური კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით, მდიდარი ბიბლიოთეკა.

✦

სურათზე: *ინსტიტუტის ერთ-ერთი სამეცადინო კაბინეტი.*

22 თებერვალი

● **ლუქსემბურგი.** „გააუქმეთ ამერიკის ბაზები ლუქსემბურგის ტერიტორიაზე" — ასეთი მოთხოვნა წამოაყენა ლუქსემბურგელ ხალხთა კავშირმა. კავშირის გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ლუქსემბურგის მთავრობამ უარი უნდა თქვას ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების განლაგებაზე.

● **ვენა.** დიდი წარმატებით დაიწყო აქ არხანგელსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კულტურის სასახლის კოლექტივის „სვერდლოვსკის" თვითმოქმედი კოლექტივის გამოხვლები, რომელიც ჩამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მოწვევით.

ყოველი მხრიდან

● **ბონი.** დასავლეთ გერმანიის საავტომობილო კონცერნმა „დაიმლერ-ბენცმა" სომოხას ფაშისტურ რეჟიმს ნიკარაგუაში მიაწოდა 60 სატვირთო მანქანა, რომლებითაც გადააქვთ მძიმე იარაღი. ამას იუწყება გაზეთ „ვეხტფელიშე რუნდშაუ".

● **ტოკიო.** იაპონიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ იაპონიის მთავრობას მოსთხოვა ცნოს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა. ასეთი გადწყვეტილება, განაცხადა პარლამენტის ზედა პალატის სხდომაზე იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ხ. ტატეკიმ, ხელს შეუწყობდა ვითარების გაუმჯობესებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მშვიდობისა და სტაბილობის განმტკიცებას აზიის კონტინენტზე.

ჯ. კარტერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 21 თებერვალი. (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ჯორჯიის შტატში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შეეხო მთელ რიგ საგარეო-პოლიტიკურ საკითხებს.**

ვიეტნამზე ჩინეთის თავდასხმის გამო ჯ. კარტერმა გამოთქვა მთელი რიგი ზოგადი დებულებანი და, კერძოდ, თქვა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ყველა მის ხელთ არსებულ დიპლომატიურ და პოლიტიკურ საშუალებას გამოიყენებს, რათა დაარწმუნოს ყველა მხარე თავშეკავება გამოიჩინონ და ეცადონ თავიდან აიცილონ უფრო ფართო ომი". ჩვენ, თქვა მან, განვაგრძობთ ჩვენს მეცადინეობას, „როგორც მონაწილე ქვეყნებთან უშუალო კონტაქტებით, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, რათა უზრუნველვყოთ სამართალი მოქმედების შეწყვეტა ამ რაიონში". მაგრამ პრეზიდენტი თავის სიტყვაში არ გმობს ჩინეთს. იგი ცდილობს ჩინეთის ჯარების შეჭრა ვიეტნამის ტერიტორიაზე წარმოადგინოს „როგორც კამპუჩიაში მომხდარი ამბების შედეგი".

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ცდა — ვიეტნამში ჩინეთის შეჭრის საკითხი დაუკავშიროს კამპუჩიის შინაურ ამბებს, სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ფაქტიურად გააამართლოს ჩინეთის აგრესია. ამით ვაშინგტონი აქებებს ჩინეთს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული მოქმედების შემდგომი გაძლიერებისათვის. მოწოდება, „გამოიჩინონ თავშეკავება", რაზედაც ამერიკის პრეზიდენტი ლაპარაკობდა, უნდა ეხებოდეს მხოლოდ პეკინელ აგრესორებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „არ აპირებს დაუშვას ამერიკის ჩარევა აზიის ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტში". „ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, — თქვა მან, — უშუალო საფრთხე არ ემუქრება, თუმცა გვაწუხებს უფრო ფართო შედეგები არ მოჰყვეს იმას, რაც ამჟამად ხდება".

ამგვარი განცხადებანი, როგორც ჩანს, მიზნად ისახავენ უარყონ მსოფლიოში შექმნილი რწმენა, რომ ვაშინგტონში წინასწარ იცოდნენ ჩინეთის გეგმები ვიეტნამზე თავდასხმის შესახებ.

ეს ხომ ფაქტია, რომ აგრესია დაიწყო მალე მას შემდეგ, რაც დამთავრდა დენ სიაოპინის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩინეთის ხელმძღვანელთა განცხადებები ადასტურებენ, რომ ვიეტნამში ჩინეთის შეიარაღებული შეჭრისათვის დროის არჩევა შემთხვევითი არ იყო.

ასეთი მოწოდებების გავრცელება საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ერთი საზომით მივუდგეთ აგრესორსა და აგრესიის მსხვერპლს.

თავის გამოსვლაში ჯ. კარტერი შეეხო ირანის ამბებს. ამჯერად პრეზიდენტი ლაპარაკობდა იმაზე, რომ ირანის ამბები — „ეს არის შედეგი ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესებისა, რომლებიც ქვეყანაში ხდება. ირანის ამბები, თქვა მან, ეს არის ირანის ისტორიიდან გამომდინარე ორმა სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული ფაქტორების ნაყოფი".

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დადების პერსპექტივებს.

...ბოლოს

ბუენოს-აირესი. (საკადესი). ... ...